№ 23. 12 ივნისს 1871 12 ივნისს № 23.

დროება

გაზეთის ფასი

თფილისში და გარეშე ადგილებში:	გაგზავნით	გაუგზავნელათ:
ერთის წლისა	— 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევარის წლისა	— 4 —	— — — 3 — 50 კ
სამის თვისა	— 2 — 50 კ.	— — — 2
ერთის თვისა	— 1 —	— — — „ — 75 კ.
ცალკე ერთის ნომრისა		— — — „ — 15 კ.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით—ასოზე ½ კაპ.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, ბულვარ-ქუჩაზედ ქალაქის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ამატუნის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

ქუთაისში — ბ. ალექსანდრა შვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ლ. ლოლუასთან ბაგარინის ქუჩაზე ხოჯაშვილის სახლში.

ავტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაბეჭდა.

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მეექვსე.

შინაარსი

რედაქციის განცხადება.—უცხო ქვეყნები: —საფრანგეთი,—ინგლისი,—იტალია, — სპარსეთი.— „ხალხთა-შორისი ასოციაცია.“— რუსეთი: წერილი ამბები.—სამართალი: დუბროვეის ცოლისა და ქალის საქმე (ქუთაისის ოლქის სამსჯავროში).—ბიბლიოგრაფია.—ნარევი.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა „დროებაზე“

მიიღება თფილისში – „დროების“ რედაქციის კანტორაში (ხანის ქუჩაზე, მელიქიშვილის და კამ. სტამბაში) და

ქუთაისში – ბერასიმე ალექსანდრიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში).

ხელ-მოსაწერი ფასი

	მან.	კაპ.
ნახევარ წლისა, გაუგზავნელათ	— 3	და 50
თფილისში და სხვაგან, გაგზავნით	— 4	მან.

ვინც მთელი წლის „კრებულისა“ და ნახევარი წლის (1 ივლისიდამ) „დროების“ დაბარებას მოინდომებს, იმან ექვსი მან. უნდა გამოგზავნოს „დროებისა“ ან „კრებულის“ რედაქციის კანტორაში.

რედაქცია უმოწრჩილესად სთხოვს შემოწმტანონ გაზეთის ფული იმათ, რომელთაც ჯერაც არ შემოუტანიათ.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

მაისის 9 (28) საფრანგეთიდამ ადრე განდევნილი ბურბონისა და ორლეანის პრინცები მისულან ვერსალში და ტიერისა და ბრეგეისთვის ვიზიტი გაუკეთებიათ. ამ ამბის შემდეგ გადაწყვეტილათ შეიძლება კაცმა სთქვას, რომ საფრანგეთში, რესპუბლიკის მაგიერ, ისევ მონარხია დაფუძნდება, და ვინც ახლანდელ ნაციონალურ კრების წევრებს იცნობდა, იმას ადრეც შეეძლო ამის თქმა. მართლა, როდესაც ამას წინეთ კრებაში მოლაპარაკება იყო იმაზე, შემოუშვათ ორლეანისა და ბურბონის პრინცები ისევ საფრანგეთში და მიესცეთ იმათ დეპუტატობის უფლება, თუ არაო,— რამდენიმე დეპუტატს გარდა, თითქმის ყველამ ერთხმით სთქვა, უნდა შემოუშვათ და დეპუტატათაც უნდა მიეიღოთ ჩვენს კრებაშიო. 420 დეპუტატი ახლაც ბზათ არიან თურმე ორმალის პრინცი, ბენრიხი, საფრანგეთის მეფეთ ამოირჩიონ; (სულ ხუთასზე მეტია ნაციონალურ კრებაში დეპუტატები). მაშ ოთხმოცი თუ ასი დეპუტატი დარჩება, რომელთაც ამ უმეტესობასთან, რასაკვირველია, არაფრის გარიგება არ შეუძლიანთ. ტიერმა წინათვე იცოდა თურმე, რომ ასე გათავდებოდა საქმე, მაგრამ იმის წინააღმდეგობა რომ სდომოდა, მაინც ვერას მოახერხებდა. მონარხიის მომხრეები ძალიან კმაყოფილნი არიან თურმე საფრანგეთში, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ დღეს თუ ხვალ ბურბონის პრინცი დაუჯდება იმათ საფრანგეთის ტახტზე.

— გაზეთებში სწერენ, რომ ამ ჟამათ არც ერთი კომუნის წევრი არ გადარჩენილა დაუხვრეტელიო; ფელიქს პიას გარდა ყველა დაუჭერიათ და კიდეც დაუხვრეტია ტიერის მმართებლობას. უკანასკნელათ დაუჭერიათ პარიჟშივე პასკალ ბრუსე (კომუნის გარეშე საქმეების მინისტრი), რომელსაც ქალური ტანისამოსი ჩაეცვა თურმე და ერთ უბანში იყო დამალული თავის ნაცნობ ქალთან.—პარიჟში და ვერსალში რამდენიმე გასამართლების კომისიაა მმართებლობისაგ ნ დაყენებული, რომელთაც ინსურგენტების საქმეები და იმათი განსამართლება აქვთ მინდობილი. ამ კომისიების მსწრაფლი გადაწყვეტილებით რამდენიმე ასი კაცი დახვრიტეს. ამ ჟამათ ასისა და როშფორის საქმეებს არჩევენ, მაგრამ, ამბობენ, როშფორი ისეთ ნაირათ არის ავათაო, რომ დაუხვრეტელათაც მალე მოკვდებაო თურმე.

ინგლისი

მაისის 31 ლონდონში იყო კრება „ხალხთა შორისი მუშების ასოციაციის“ წევრებისა, რომელზედაც სხვათა შორის ჰქონდათ მოლაპარაკება პარიჟის ინსურგენტებზე და იმაზე, გადასცემს ჩვენი მმართებლობა იმ მუშებს, რომელნიც პარიჟის არეულობის გამო ჩვენში გამოიქცნენ, თუ არაო. ამ მიტინგზე წაიკითხეს ჯონ-სტუარტ მილის წიგნი, რომელშიაც ეწერა: „მიტინგებითა და დემონსტრაციებით ჩვენ, საუბედუროთ, არ შეგვიძლია ბოლო მოუღოთ იმ საძაგლობას და ძალადობას, რომელიც მოხდა და ხდება ამ ჟამათ პარიჟში; ჩვენ შეგვიძლია მხოლოთ იმითი ვინუგეშოთ თავი, რომ ინგლისელი ხალხი ზიზღით უყურებს ვერსალის მმართებლობის მოქმედებას.“ ამ მუშების მიტინგმა გადაწყვიტა, რომ ბლადსტონსა და ბრენვილს გაუგზავნოთ დეპუტაცია, რომელმანც ხალხის თანაგრძნობა გამოუცხადოს პარიჟის ინსურგენტებს და სთხოვოს ინგლისის მმართებლობას, რომ არ გასცეს ეს ინსურგენტები და, თუ შეიძლება, ეცადოს, რომ პარიჟშიაც უკეთ მოეპყრონ იმათა.

იტალია

ყველამ იცის, რომ ახლანდელი საფრანგეთის მმართებლობის თავი პირი — ტიერი — გულითა და სულით ფრანგია და საშინელი მომხრე რომის პაპის საერო უფლებისა. ამიტომ, რასაკვირველია, იმას არ მოეწონებოდა ის ამბავი, რომელიც მოხდა ამ უკანასკნელ დროს იტალიაში; იმას არ მოეწონებოდა, რომ იტალიის კოროლმა ძალით დაიჭირა რომი, რომელსაც დღეს-ხვალ თავის სატახტო ქალაქათ ხდის, და რომის პაპს ამნაირათ ყოველი საერო უფლება ჩამოართვა. ამოარჩიეს თუ არა ტიერი საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტათ, იმ წამსვე დაიწყეს ლაპარაკი, რომ იტალიასა და საფრანგეთს შუა უთანხმოება მოხდებაო. მართლაც, ამ ჟამათ ეს ორი სახელმწიფო ძალიან განზე უყურებენ ერთმანეთს; ასე რომ, ამბობენ, მოიდგამს თუ არა საფრანგეთი ფეხს და თავის შინაურულ საქმეებს გაუწყობს, შეიძლება ომიც აუტახოს იმან იტალიასაო. იტალიაში, თავის მხრით, დიდი მზადება ამ ჟამად ომისათვის: რომსა და ვენეტიკს ამაგრებენ ციხეებითა, ჯარში ისეთი წყობილობა უნდა შემოიღონ, როგორიც პრუსიაშია და ახალ თოფ-იარაღს ურიგებენ ჯარს. ეს უთანხმოება, უეჭველია, მაშინ უფრო გაძლიერდება, თუ რომელიმე ორლეანის ან ბურბონის პრინცი ავიდა საფრანგეთის ტახტზე და ეს, როგორც დღევანდელი ნომრიდამაც დაინახავდა მკითხველი, თითქმის გადაწყვეტილი საქმეა. მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ საფრანგეთი ამ უკანასკნელ დროს ისე დაეცა, შარშან და წელს თუ გარეშე და თუ შინაურ მტრებთან ბრძოლამ ისე დაასუსტა და ააოხრა ის, რომ ძნელათ დასაჯერებელია, რამდენიმე წლის განმავლობაში იმან ახალი ომის ატეხა შეიძლოს.

სპარსეთი

სპარსეთში ამ ჟამათ ისეთი შიმშილია, რომ, როგორც გაზეთებში სწერენ, ისპაანში საფლავებიდამ სთხრიან მკვდრებსა და სჭამენ; ქუჩებზე ათასობით კვდება თურმე უბრალო ხალხი შიმშილითა. ზოგიერთ ალაგას მცხოვრებლები ბალახსა და ხის ფოთლებს სჭამენ, სხვა რომ არაფერი არა აქვთ. ზოგან იმდენამდი მიაწია საქმემ, რომ მშობლები, ლუკმა-პურის მოსაპოვებლათ, თავიანთ შვილებს ჰყიდიან თურმე ბაზარში.

„ხალხთა-შორისი მუშების საზოგადოება“

ზოგიერთს გაზეთებში სწერენ ამ უკანასკნელ დროს, რომ პარიჟის არეულობის მომხდენი და მოთავე ის მუშების საზოგადოება იყოო, რომლის სახელი ჩვენ ზევით ამოვიწერეთ; ამბობენ, რომ პარიჟის მუშებს ლონდონისა და ბერლინის კომიტეტებიდამ მოსდიოდათ ინსტრუქცია და დარიგება-თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ისინი და როგორ უნდა წაეყვანათ არეულობის საქმე. ამიტომ ამ საზოგადოებას ახლა უფრო მომეტებულ მნიშვნელობას აძლევენ და ამიტომაც ბევრს სწერენ იმაზე გაზეთებში.—აქ მოგვყავს შემოკლებითი ცნობები მართლა ამ ბევრის მხრით შესანიშნაეს საზოგადოებაზე.

ეს საზოგადოება ან ასოციაცია შემდგარია თითქმის მხოლოთ მუშა-ხალხისაგან, მაგრამ იმის წევრებათ არიან აგრეთვე ისეთი მწერლები და სხვა პირებიც, რომელნიც გამოჩენილი არიან თავის ხალხის მოყვარული აზრებით და რომელთაც ჰსურთ მდაბიო, მუშა ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესობა. სულ წევრების რიცხვი ორი მილიონი და ნახევარია (2,500,000). ეაენი თითქმის მთელ დედა-მიწაზე არიან გაფანტულნი: ყველგან, საცა კი ცოტაოდენათაა შესული მუშებში განათლების სხივი, ყველგან ნახვათ ამ ასოციაციის წევრებს. ცენტრალური მმართველობის კომიტეტი კი ლონდონშია; აქ სწყდება ასოციაციის ყველა საზოგადო და ღირს-შესანიშნავი საქმეები. სხვაგან, სატახტო ქალაქებში, არიან ამ კომიტეტის განყოფილებანი, მაგალითად: პარიჟში, ბერლინში, ვენაში, ფლორენციაში, ბრიუსელში, ჟენევაში და აგრეთვე ამერიკის ბევრ ქალაქებში. უმთავრესი, ანუ ცენტრალური ლონდონის კომიტეტი თუთხმეტი წევრისაგან არის შემდგარი. ყოველ კვირას ამ კომიტეტს უცხო-ქვეყნების კომიტეტებისაგან მოსდის იმათი მოქმედების ანგარიში და სხვა და სხვა საჭირო ცნობები, როგორც მაგალითად: 1) ადგილობრივ პოლიტიკურ მოძრაობაზე და სავაჭრო საქმეებზე, 2) უწყება ახალ წევრებზე, 3) თავის ლონის-ძიების მდგომარეობაზე, 4) მდიდარი ფაბრიკანტებისა და თანხის პატრონების სია, 5) თავიანთი მოქმედებისა და გადაწყვეტილებების ანგარიში. და სხვა.

ამ ასოციაციას ძალიან დიდი შეძლება აქვს: ყოველი წევრი, ყოველი მუშა, შეძლებისა და გვარათ, თითო-ოროლ შაურს სწირავს კვირაში და აქედამ დიდი ფული შესდგა. უმთავრესი დანიშნულება ამ საზოგადოებისა ისაა, რომ ყოველი ლონის-ძიებით და ყოველ შემთხვევაში მუშებს ხელი გაუმართოს და ეცადოს იმის ცუდი მდგომარეობის გაკეთებაზე. ამ აზრის მისაღწევათ ასოციაცია სცემს წიგნებს და გაზეთებს მუშებისთვის, ჰკითხულობს საპუბლიკო ლექციებს, მმართავს იმათთვის საავათმყოფოებს და საკითხავ ოთახებს და სხვ. ეს ასოციაცია არის მთელი ქვეყნის მუშების შემაერთებელი. ის სცდილობს, რომ ყველა მუშებს ერთი აზრი, ერთი წადილი და ერთნაირი მოქმედება ჰქონდეთ. ვსთქვათ, სადმე რომელიმე ფაბრიკანტი მუშებს აკიწროებს, ცოტა ჯამაგირს აძლევს, ან ბევრს ამუშავებს და ამის გამო ამათ შუა უთანხმოება მოხდა და მუშებმა თავი დაანებეს მუშაობას, („შეადგინეს „ტაჩკა“), რომ ამით ჯამაგირი მოამატებინონ ფაბრიკანტს; მაშინვე ცენტრალური კომიტეტი უგზავნის ამ მუშებს ფულებს, რომ დრომდი შეიძლონ ცხოვრება და დარიგებას აძლევს იმათ—თუ როგორ უნდა მოიქცენ.

ერთი სიტყვით, სხვა არა იყოს რა, ეს ასოციაცია მარტო იმითაა შესანიშნავი, რომ იმდენი წევრები და შეძლება, მგონი, არცერთ სხვა საზოგადოებაში არა იპოვება, და, თუ ამ სახსრებით რიგიანათ მოხმარება დასცალდათ და შეიძლეს, უეჭველია, იმას ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება შემდეგში, როდესაც მუშების მდგომარეობას ახლანდელზე უფრო მომეტებული ყურადღება ექნება მოქცეული.

რუსეთი

* * *

შარშან ზაფხულს რუსეთის იმპერატორი და გარეშე საქმეების მინისტრი, თ. ბარჩაკოვი, ბერმანიაში (ემსში) იყვნენ და პრუსიის კოროლი ნახეს. ამის შემდეგ ბერმანიასა და საფრანგეთს შუა გაჩნდა საშინელი ბრძოლა, და ევროპაში მოხდა რამდენიმე შესანიშნავი საქმეები. ევროპის გაზეთები ამ საქმეში ამ რუსეთისა და პრუსიის ხელმწიფების შეყრას მაშინ დიდ მნიშვნელობას აძლევდენ. წელსაც ხელმწიფე იმპერატორი ბერმანიაში წაბრძანდა; თ. ბარჩაკოვიც ამ ჟამათ იქ არის, და

ისინი კიდევ შეეყრებიან ᲖᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ. რასაკვირველია, უცხო ქვეყნების გაზეთები ამ გარემოებას უყურადღებოთ არ გაუშვებდენ. მართლაც, შარშან ყვიროდენ: „მოაწია საფრანგეთის აღსასრულმაო!“ („finis Galiae“), ახლა კი ამბობენ: „დაიღუპა ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐᲝ!“ რასაკურველია, ამ გაზეთების სიტყვებს არა-ვითარი საფუძველი არა აქვს.

* * *

სახალხო განათლების სამინისტროში ამ ჟამათ, როგორც გაზეთი „ხმა“ ამბობს, სჯა არის იმაზე, რომ მოანახონ საშუალება, რომლითაც სახალხო შკოლების გაძრაველება და მათი ლონის-ძიების მოძატება შეიძლებოდეს.

* * *

ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ერთს სოფელში შარშან ზაფხულს მცხოვრებლებს „მეყველეებთ ამხანაგობა“ შეუდგენიათ და ყველის ქარხანა გაუმართავთ. მს ქარხანა ᲮᲣᲗᲐᲡ ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐ ხუთ მანეთად დაჯდომიათ და 200 მანეთიც ამ ქარხანასთან სასოფლო ბანკის გასამართავათ მოუკრებიათ. ᲒᲐᲛᲝᲣᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲑᲘᲐᲗ, რომ ამ პატარა ამხანაგობას წელიწადში ᲝᲗᲮᲘᲐᲗᲐᲡᲘ მანეთის ყველის გაყიდვა შეუძლია. ᲝᲗᲮᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ მანეთის ყველში უკანასკნელი ათასი მანეთი მოგება მაინც დარჩება ხელში. აბა, ერთი მაგალითი იმ სარგებლობისა, რომელიც მოაქეს ხალხისთვის „მწარმოებელთ ამხანაგობასა.“

* * *

„ᲑᲘᲠᲟᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲨᲘ“ სწერენ, რომ სამხედრო მინისტრი ამ დღეებში აპირებს პეტერბურღიდამ წამოსველას რუსეთის ჯარების დასახედავათ; სხვათა შორის, ამ გაზეთის სიტყვით, ის ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ჯარსაც დახედავს.

* * *

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ

ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ᲪᲝᲚᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲯᲐᲕᲠᲝᲨᲘ

მაისის ოცდა ექვს დანიშნული იყო ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲯᲐᲕᲠᲝᲨᲘ ერთი მეტის მეტათ შესანიშნავი საქმე, ახლათ დაბადებული ბავშვის მოკვლაზე და ნათესავთან მრუშობაზედ. ᲔᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ გაიხილა ᲝᲚᲥᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲯᲐᲕᲠᲝᲛ, რომელსაც ამ დღეს შეადგენდა შემდეგი პირები: თავმჯდომარეთ იყო ᲝᲚᲥᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲯᲐᲕᲠᲝᲡ წევრი ᲡᲚᲐᲚᲙᲝᲕᲡᲙᲘ; წევრებათ ბარონი ᲙᲝᲠᲤᲘ და ᲡᲔᲚᲘᲢᲠᲔᲜᲘᲙᲝᲕᲘ, სეკრეტრათ—ᲑᲐᲑᲘᲜᲘ და პროკურორათ—ᲓᲔᲛᲔᲜᲢᲘᲔᲕᲘ. დანაშაურების ადგილას იჯდა კოლეჟსკი ასესესორის ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ᲪᲝᲚᲚᲘ, ᲐᲜᲜᲐ, შთამომავლობით ᲮᲘᲛᲨᲘᲔᲕᲘᲡ ქალი, რომელიც პირველათ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲭᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲪᲝᲚᲚᲘ, ყოფილა. მის წინ იჯდა მისი ვაჟი—ᲞᲐᲕᲚᲔ ᲭᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ, თვრამეტი ან ცხრამეტი წლის ახალგაზდა, და გერი, ᲐᲜᲜᲐ ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲐᲡᲘ, ოცდა ოთხი თუ ხუთი წლის ახალგაზდა ქალი. ᲐᲛ ᲝᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲐᲡ ᲐᲑᲠᲐᲚᲔᲑᲓᲔᲜᲔ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲠᲣᲨᲝᲑᲐᲡ; ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ᲪᲝᲚᲚᲘ კი იმას აბრალებდენ, რომ იმან ამ ახალგაზდების ნამრუში ბავშვი წაიყვანა და თხრილში ჩაგდო, სადაც ის მეორე დილას მკედარი უნახავთ. სამივე დამნაშავეს ერთი დამცველი ᲰᲧᲐᲕᲓᲐᲗ, უფ. ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲜᲔᲡᲢᲔᲠᲝᲕᲘ, რომელიც, როგორც სასამართლოში მყოფი ხალხი ამბობდა, ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ᲪᲝᲚᲚᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲔᲑᲡ გამოეგზავნათ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ, მის დასაცველათ.

ᲓᲘᲚᲘᲡ თერთმეტ საათზე სამჯავროს კიბე და დერეფანი ისეთნაირათ სავსე იყო ხალხით, რომ შიგ დატევა შეუძლებელი იყო. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ სამჯავროში ერთი მცირედი საქმე თავდებოდა, და მისი კარები დაკეტილი იყო, მაგრამ კარს გარეთ ისეთი ხმაურობა, ვაი-ვაგლახი, კიჟინა და კარების მტვრევა იყო, რომ თავმჯდომარემ საქმე შეაჩერა და კარების დაფენა ბრძანა. ᲮᲐᲚᲮᲘ შეასკდა სამჯავროში, და ერთ წამში აივსო საზოგადოებისთვის დანიშნული ადგილი. ᲪᲝᲢᲐ ᲮᲐᲜᲡ შემდეგ შემოიყვანეს დამნაშავენი. ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ᲪᲝᲚᲚᲘ ორმოცი წლის მეტის იქნება; იმას შეჭუხვნილი, ტუჩ-ჩაკენეტილი, მოყვითანო პირისახე აქვს, მეტის მეტათ გულპიწი და გულჩახვეული. მისი ტანსაცმელი ჩვენებური უბნების ბებრების ტანისამოსს ჩამოგავს, მაგრამ ჩადრი კი აკლია. ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ქალის პირის-სახე სრულიად უმნიშვნელო და გაგლესილია; ავათმყოფობის ნისლი რომ არ ედვეს იმის აგებულებას, კაცი ვერაფერს შენიშნავდა მასში ისეთს, რომ მისი წარსული ცხოვრების ასხნა და განათება შესძლებოდეს. ᲤᲔᲠᲛᲙᲠᲗᲐᲚᲘ, ᲚᲘᲐ ᲗᲛᲘᲐᲜᲘ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝ, ჩამოწეწილი კაბით, ნაცრის ფერი თვალებით, ის ზის თავის ადგილს, თითქო გაგება არა აქვს, რა მდგომარეობაშია, და რისთვის მოსულა ამოდენა ხალხი მის სანახავათ. რაც ამ უკანასკნელ დროს იმას ვაი-ვაგლახი და ტანჯვა მისდგომია, ყველაფერს ისე გაუშეშებია მისი გონება და გრძნობა, თითქო ის რასმე ან ვისმე უცქერს და არც დანახვის, არც გაგების ძალა არა აქვს. ᲔᲠᲗᲘᲡ სიტყვით, კაცს ეგონება, ცოცხალი ადამიანის მაგიერ სამჯავროს წინ კაცის მძოვრი დაუსვიათო.—მესამე დამნაშავე მოსუქნო ყმაწვილია, დაბალ-დაბალი, რგვალ-რგვალი, რუსული ტანისამოსით. ᲘᲡ მარჯვეთ ზის დამნაშავეების ადგილს, მარჯვეთ თვალს ავლებს მსაჯულების და საზოგადოების ადგილს, ხან ერთ ფეხს შემოიდებს მუხლზე, ხან მეორეს, ხან ხელებს შემოირტყამს მუხლზე შემოდებულ ფეხზე, და ყოველთვის კი ერთ გვარათ, ლიმილით უცქერის თავის დამცველს და დამწრე ხალხს. მისი პირისახე სულ სხვა ნაირათ უმნიშვნელო და თან შესანიშნავია. ᲙᲐᲪᲡ ეგონება, ეს ადამიანი თავის დღეში არაფერზე არ დაფიქრებულა, იმას თავის დღეში არ მოსელია აზრათ რას ჩადის, რა უნდა ᲰᲥᲜᲐᲡ და რა ხეირს ან ხიფათს დააყრის სხვებს მისი მოქმედება და საქციელი. მაგრამ კაცი შესცდება, რომ თქვას, ეს კაცი ᲦᲛᲔᲠᲗᲡ დაუჩაგრავს, ქვეყანაში უიღბლოთ გამოუყვანიაო. ᲐᲠᲐ. ᲧᲝᲕᲔᲚ მის მიხვრა-მოხვრას, თითოეულ სიტყვას, განძრევას ერთი შეუცვლელათ ნიადაგი დაღი ასვია თავმოწონებისა და თავხედობის. ᲒᲔᲒᲝᲜᲔᲑᲐᲗ, ეს ახალგაზდა სრულიად დარწმუნესულია, რომ რაც კი მის ხელიდგან გამოვა, ან მის პირიდგან, ყველაფერი რჯულზე უმტკიცესი და უწორესი იქნებაო. ᲐᲛ ᲜᲐᲘᲠ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲕᲡ წარმოადგენს დამნაშავეების მხარე.საჯ'ჯავროში.

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲑᲘᲡ მხარე ნაკლებათ შესანიშნავი არ არის. ᲐᲥ ᲐᲠᲔᲣᲚ-ᲓᲐᲠᲔᲣᲚᲐᲗ ზის და დგას სხვა და სხვა ნაირათ ჩაცმული კაცი და ქალი, ზოგი მაღალი საზოგადოების, ზოგი დაბალისა. ᲧᲕᲘᲚᲐᲡ ატყვია, რომ მეტის მეტათ შეძრულია ამ საქმის გარემოებით, მაგრამ თან კაცი იმასაც შენიშნავს, რომ ამ საქმის საზარელი მხარე—ბავშვის მოკვლა, იმდენათ არ აღელვებს და სძრავს მსმენლებს, როგორც მისი ბიაბრული, სკანდალური მხარე—ახალგაზდების არშიყობა და მრუშობა... მსმენელებში ᲮᲨᲘᲠᲐᲗ კასკასი ᲘᲡᲛᲘᲡ; ერთი მეორეს უთითებს დამნაშავეებზე, ხმა-მაღლა გამოთქვამს თავის სჯას მათ პირისახეზე და ყოფაქცევაზე, დასცინის, იცინის, ფუჩფუჩობს. ᲮᲨᲘᲠᲐᲗ, როცა ახალგაზდა ვაჟი, დამნაშავე, საზოგადოებისკენ მიიხედავს, მსმენელებში ისმის—„ვაი შენ ტყავს, ვაი შენ ტყავს!“

ᲑᲝᲚᲝᲡ მსაჯულები შემოდიან და თავთავის ადგილს იკავებენ. საზოგადოებაში მაშინვე ხმაურობა და ფუჩფუჩი სწყდება და თავმჯდომარე საქმის განხილვას შეუდგება.

ᲑᲠᲐᲚᲛᲓᲔᲑᲘᲗᲘ წერილიდან სჩანს, რომ ამ წლის იანვარში, ოცდა შვიდ რიცხვს, ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ პოლიციისთვის მოუხსენებია პრისტავის თანაშემწეს, უფ. ᲑᲐᲘᲜᲓᲣᲠᲝᲕᲡ, რომ ᲑᲐᲚᲐᲮᲕᲐᲜᲘᲡ ქუჩაზე, მხეიძის სახლის წინ რომ ღელე ჩამოდის, შიგ ქვაზე ერთი მძოვრი ენახეთო, რომელიც ახლათ დაბადებული მკედარი ბავშვი ამოჩნდაო. ᲘᲡ ამბავი მაშინვე გამომძიებლისთვის შეუტყობინებიათ; მაგრამ, როგორც პოლიციის წესი მოითხოვს, პოლიციასაც ცოტაოდნათ გამოკვლევა დაუწყია, ეისი უნდა იყოს ეს გვამი, ან ვის უნდა დაეგდოს აქაო. ᲑᲐᲘᲜᲓᲣᲠᲝᲕᲡ მოუხსენებია პოლიციისთვის, რომ როცა ახალათ ნაპოვარ გვამს ხალხი შემოეხვია, შიგ ორმა ქალმა თქვა ეს ამა და ამ ქალის უნდა იყოსო, და როცა მე გამოვკითხე ისინი, ჯერ არ გაამხილეს, და მერმე კი თქვეს—იქნება ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ქალის იქნესო. ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲘᲡ დროს, როცა გამომძიებელს ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ოჯახიდგან სხვა და სხვა პირები მიუწვევია, იმათ სხვა და სხვა ნაირათ უჩვენებიათ ამ საქმის გარემოება. ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ᲪᲝᲚᲚᲡ უთქვამს, რომ ამ საქმის მე არა ვიცი რაო, და არც არაფერი გამიგონია, არც შემინიშნაესო. ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ქალს ᲪᲝᲢᲐ ᲮᲐᲜᲡ შემდეგ უჩვენებია, რომ ბავშვი, მართალია, მე მეყოლაო; ის ცოცხალი დაიბადა, მაგრამ მალე მოკვდა, და მე მკვდარი წავიღე და დავდევი საცა უნახავთო. ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ორმა ქალმა, ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔᲛ და ᲝᲚᲒᲐᲛ აჩვენეს, რომ ერთ სალამოს ჩვენსა, ჩვენი დის ოთახში კვილი და კვნესა ისმოდაო. ᲞᲐᲕᲚᲔ ᲭᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ მაშინ ჩვენ ოთახში იყო, და ჩვენი დედინაცვალი კი—ჩვენი დის ᲐᲜᲜᲐᲡ ოთახშიო. ᲑᲝᲚᲝᲡ დედინაცვალი გამოვიდა და დაიძახა, სალოფი მომეცითო, ᲞᲐᲕᲚᲔᲡ უთხრა წამომყევიო და წავიდა სადღაცო. ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ შემდეგ ორივე დაბრუნდენ და დედინაცვალმა ვახშამი მოითხოვაო. შემდეგში ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ქალი, ᲐᲜᲜᲐ თვითონ მივიდა გამომძიებელთან, და გამოუცხადა, რომ პირველი ჩემი ჩვენება სიცრუე იყოო; საქმე კი ასე მოხდა, რომ ჩემმა დედინაცვალმა მე ლოგინათ დამაწვინა და ბავშვი აიყვანაო. ᲩᲕᲔᲜ უწინაც მოლაპარაკება გვქონდა ᲞᲐᲕᲚᲔ ᲭᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ, რომ ბავშვი ძიძას მივაბაროთო, და ჩემმა დედინაცვალმა რომ ბავშვი წაიყვანა და მობრუნდა, მითხრა ბავშვი, გავაბარეო. ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲘᲡ დროს ერთმა დენსჩიკმა, ᲢᲣᲚᲘᲜᲝᲕᲛᲐ, აჩვენა; ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ სამზარეულოში შეევდი იანვრის დამლევსო, და ვნახე, რომ ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ᲪᲝᲚᲚᲘ რაღაც დასისხლიანებულ ნიფხავ-პერანგს რეცხდაო. ᲒᲝᲑᲖᲔ წყალი სულ სისხლისფერი იყო, და ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ᲪᲝᲚᲚᲛᲐ, მე რომ დამინახა, მაშინვე სხვა ნიფხავ-პერანგი ჩაყარა გობშიო.

ᲠᲝᲪᲐ, გამომძიებელის წინადადებით, ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ექიმმა, უფ. ᲕᲝᲠᲝᲜᲝᲕᲛᲐ, ახლათ ნაპოვარი გვამი გასჭრა და გასინჯა, აღმოჩნდა, რომ ყმაწვილი ცოცხალი დაბადებულა, და რამდენიმე ხანი უცოცხლია დაბადების შემდეგ. მაგრამ, რადგანც, ამბობს უფ. ᲕᲝᲠᲝᲜᲝᲕᲘ, მის ტვინში მეტის მეტათ ბლომათ ჩარჩენილა სისხლი, და მისი ფიქვი სრულიად სავსეა ᲰᲐᲔᲠᲘᲗ და ქაფიანი წყლის მსგავსი საგნით, რომელიც მის ყელშიაც ბლომათ იპოვება, სჩანს, რომ ბავშვი მოუკლავს მხოლოდ სულის შეგუბვას, ესე იგი იმას, რომ საკმაო ᲰᲐᲔᲠᲘ დაკლებიაო. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ექიმი ამბობს, რომ ბავშვის ᲭᲘᲠᲘ მოწყვეტილი იყო, მაგრამ შეუსკვნელიო.

ᲐᲛᲐᲡᲝᲑᲐᲨᲘ მობრუნდა რუსეთიდგან უფ. ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘ, რომელმანც, მოჰკრა თუ არა საზოგადოებაში ყური ამ ამბავს, მაშინვე პროკურორს მიმართა ცალკე განცხადებით. უფ. ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘ ამბობს შიგ, რომ ჩემ მეორე ცოლს ერთი ვაჟი მოჰყვაო, რომელიც რუსეთში სამხედრო სასწავლებელში ებარა, მაგრამ ცუდი ყოფაქცევისთვის იქიდან გამორიცხეს და მე გამომიგზავნესო. ᲘᲡ ჯერ ჩემსა დავაყენე, მაგრამ შევნიშნე, რომ მეტის მეტათ ცუდი ყოფაქცევის იყოო, და ᲑᲝᲚᲝᲡ სახლიდგან გავაგდეო. შარშან, როცა რუსეთში წასვლა მომიხდა, ის ხელახლავ დაბრუნებულა ჩემ ოჯახშიო. რუსეთში მე ჩემი ქვისლის წიგნი მომიგიდა ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ, რომელშიაც მწერდა, რომ თქვენ სახლში ცუდი ამბები არისო, ᲭᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔᲛ ᲐᲜᲣᲨᲙᲐ გააბრიყვა და შეიყვარაო, იმათ ყოფაქცევაზე ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ქალი, ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ, ვერ მოუყვანია, და გაბრაზებულა ჩემსაო. თქვენ ცოლს და ᲭᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔᲡ მისი ძალათ წაყვანა უნდოდათ, მაგრამ მე არ დავანებეო და სხვ. ᲐᲮᲚᲐ, რაკი დაებრუნდი, შევიტყვე, რომ ჩემი ქალი მართლა გაუბრიყვებიათო, და მისი ნაშობი შვილი მოუკლავთო. ᲐᲛ საქმეში მე ჩემს ცოლს და გერს ვადებ ბრალსო, და გთხოვთ ისინი კანონიერათ დასაჯოთო.—ᲐᲛ გარემოებების გამო, ბრალმდებითი წერილით პროკურორი თხოულობს, რომ ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ᲪᲝᲚᲚᲘ დაისაჯოს როგორც ბავშვის მკველელი, და ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ქალი და ᲭᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ—როგორც ნათესავობის დამვიწყებელი და მრუშენი.—

საქმის გამოსაძიებლათ სამჯავროს წინ დაბარებული იყვნენ მოწმეთ: ᲞᲐᲕᲚᲔ ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘ, მისი ქალები ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ და ᲝᲚᲒᲐ, მისი ვაჟი ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ, მისი ქვისლი არტილერიის პოდპორუჩიკი, ᲨᲩᲘᲞᲙᲝᲕᲡᲙᲘ, პრისტავი ᲑᲐᲘᲜᲓᲣᲠᲝᲕᲘ, ᲞᲔᲚᲘᲙᲐᲕᲘ, ᲘᲜᲝᲖᲔᲛᲪᲔᲕᲘ და ᲑᲐᲜᲓᲐᲠᲔᲜᲙᲝ. ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ მოწმები სხვა და სხვა მიზეზების გამო არ გამოცხადდენ, მაგრამ, რადგან სამსჯავრომ დაინახა, რომ მათი ჩვენება მეტის მეტათ შესანიშნავი არ იყო, მათ დაუსწრებლათ საქმის გაგრძელება გადაწყვიტა. მცოდნე კაცებათ დაბარებულნი იყვნენ ექიმები: ᲕᲝᲠᲝᲜᲝᲕᲘ და ᲡᲔᲕᲔᲠᲘᲜᲘ. ᲓᲐᲤᲘᲪᲔᲑᲘᲡ შემდეგ დაიწყეს საქმის გამოძიება.

ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ გამოკითხვაზე, იმათ შემდგომი პასუხი გასცეს თავმჯდომარეს:

ᲞᲐᲕᲚᲔ ᲭᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔᲛ თქვა, ჩემ თავს დანაშაულათ ვიცნობ; ოთხი წელიწადია, რაც ჩვენ (მე და ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ქალი) ურთიერთის სიყვარულით ერთათ ვცხოვრობთო. შვილიც მაგას ჩემგან ეყოლაო; მე მაგან ისე მითხრა, რომ ბავშვი დაიბადა და მე ის მკვდარი წავიღეო.

ᲐᲜᲜᲐ ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ქალმა: მე ჩემ თავს ბრალეულათ ვიცნობ, რომ ᲞᲐᲕᲚᲔ ᲭᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔᲡ ეყვარობდი. ᲩᲕᲔᲜ ეყვარობთ ერთმანერთს აგერ ოთხი წელიწადია. ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ მამა Პ. ᲭᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ იყო. ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ცოცხალი დაიბადა, მაგრამ ნახევარ საათს შემდეგ მოკვდა. მკვდარი მე თვითონ გავახვიე კოფტაში, და თხრილში გავიტანე. ᲚᲝ�გინათ მე ღამე დავწექი. მაშინ ყველას ეძინა. ᲐᲠᲐᲕᲘᲡ არ გაუგია და არ გაუგონია, როგორ გავიტანე მე მკვდარი.

ᲝᲚᲒᲐ, ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ და ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ—ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ამბობენ, რომ არა სურთ ჩვენება მისცენ სამსჯავროს წინ (ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ნებას აძლევს ბრალდებულის მახლობელ ნათესავებს ჩვენება არ მისცენ მათ საქმეზე).

ᲞᲐᲕᲚᲔ ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘ (მამა) იღებს დაწერილ ქაღალდს და წაკითხვას აპირებს. ᲘᲡ იწყებს: „ᲣᲤᲐᲚᲜᲝ ᲛᲡᲯᲐᲭᲣᲚᲜᲝ!“ მაგრამ ამ დროს თავმჯდომარე შეაყენებს იმას, და ეუბნება, თუ რისიმე ჩვენება გსურს, ზეპირათ თქვით, შეგიძლიათ გარემოების გასახსენებლათ ხანდისხან ქაღალდში ჩაიხედოთ, მაგრამ წინათვე დაწერილის წაკითხვის ნება არა გაქვსთო. მაშინ ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘ იწყებს, რომ მისმა ცოლმა, გერმა და ქალმა გააუპატიურეს მისი ოჯახი და თეთრი თმა, და ამის გამო ის თხოულობს, რომ ისინი სამაგალითოთ დასაჯოს სამჯავრომ კატორგით. ᲐᲛᲐᲖᲔ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘᲡ თხოვნით თავმჯდომარე ხელ-ახლავ აჩერებს ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲡ, და ეუბნება, რომ თქვენ აქ დაბარებული ხართ როგორც მოწამე, და არა როგორც ბრალმდებელი, მაშასადამე, თქვენ აქ მხოლოთ ის უნდა აჩვენოთ, რაც რამე იცით ამ საქმის გარემოებებზეო. მაშინ ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘ უბრალო ხმით იწყებს: როცა რუსეთიდგან დაებრუნდი, შევნიშნე, რომ ჩემი ქალი ᲐᲜᲜᲐ მეტის მეტათ სუსტი და ავათმყოფი იყო, ისე რომ ოთახშიაც სიარული უძნელდებოდა. მე ვკითხე, ავათ ხომ არა ხარ მეთქი, მაგრამ იმან მითხრა, არა, კარგათ ვარო.

რუსეთში წასელამდი, ექვსი თვის წინ, მე ჩემი სახლიდგან გავაგდე პაველე ძავთარაძე, რადგანც შეენიშნე, რომ იმას ცუდი გაელენა ჰქონდა ჩემ შვილებზე. მაგრამ გაგდების შემდეგაც ძავთარაძე ჩუმ-ჩუმათ დაიარებოდა ჩემსა. ჩემმა ქალმა ᲝᲚᲚᲐᲛ მიამბო, ახლად დაბადებული ბავშვი ჩემმა ცოლმა წაიყვანაო. დაბადების დროს პაველე ძავთარაძე ჩვენსა ყოფილა. ბებიათ ჩემი ცოლი ყოფილა, მერე გამოსულა, სალოფი მოუთხოვია, პაველე ძავთარაძე თან წაუყოლია, და ბავშვი წაუღია; შემდეგ დაბრუნებულა და ვახშამი მოუკითხავს. მერმე სამი დღე სულ უმღერია. ჩემი ქალი, ᲐᲜᲜᲐ, ორი დღე ლოგინში წოლილა, მერმე მესამე დღეს ჩემ ცოლს მისთვის ადგომა უბრძანებია. ᲐᲜᲜᲐᲛ მითხრა, მე მეგონა, რომ ბავშვი სოფლათ გაგზავნეს. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ-ᲐᲕᲔ მე უნდა მოვახსენო სამსჯაროს, რომ პაველე ძავთარაძე მას შემდეგაც დაიარება ჩუმ-ჩუმ-თ ჩემსა, და ჩემ ქალს აბრიყვებს. წუხელ საღამოს თერთმეტ საათზე მოვიდა, მოიტაცა ᲐᲜᲣᲨᲙᲐ და თავის ადვოკატთან წაიყვანა დასარიგებლათ. თუ გნებავთ, ამაზე მეჩაეტონეს და მოწმებს დაგინიშნავთ, კითხეთ.

როცა თავმჯდომარემ დამნაშავეების დამცველს, უფ. ნესტეროვს, უთხრა, ხომ არა ფრის გამოკითხვა გსურთ ამ მოწმისაო, ნესტეროვმა უპასუხა, საჭიროთ არ ვრაცხ, მაგას რა უნდა ეკითხებოდესო, მაგას ამ საქმის იმდენი გაეგება, რამდენიც უბრალო მზარეულს (კუხარკას) გაეგებაო. უფ. დუბროვამ მოითხოვა, რომ ეს გამაუპატიურებელი სიტყვები პროტოკოლში ჩაიტანეთ, შემდეგ ვიჩივლებო. თავმჯდომარემ უთხრა, ეს სიტყვები ჩაწერილი იქნება პროტოკოლშიო.

პოდპორუჩიკი ᲨᲩᲘᲞᲙᲝᲕᲡᲙᲘ (დუბროვის ქვისლი) ამბობს, რომ იანვრის დამდეგს, არ მახსოვს რომელ რიცხვში, მოსულიყო ჩემსა დუბროვის ვაჟი ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ, თავის დასთან, ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔᲡᲗᲐᲜ, რომელიც შარშანდელ აგვისტოს აქეთ ჩემსა დგას. იმას ეთქვა დისთვის, რომ წუხელი ᲐᲜᲣᲨᲙᲐᲡ შვილი დაებადაო. თვითონ ᲨᲩᲘᲞᲙᲝᲕᲡᲙᲘ დუბროვისას აღარ დაიარებოდა, თუმც ახლობელი ნათესავია. თავათ ᲐᲜᲣᲨᲙᲐᲛᲐᲪ მითხრაო, რომ ბავშვი ცოცხალი დაიბადაო, მაგრამ არ ვიციო, ჩემა დედინაცვალმა იმას რა უყოო; ბებიათ ის მყავდაო და იმან წაიყვანა ახლათ დაბადებული ბავშვიო. დუბროვის მესამე ქალმა ᲝᲚᲚᲐᲛ (რომელიც დუბროვისას დარჩა), მითხრა მე, რომ ჩემა დედინაცვალმა ბავშვი წაიყვანა და პაველე ძავთარაძეც თან წაიტანაო.

დენშჩიკი ᲠᲔᲚᲘᲙᲐᲕᲘ ამბობს, ჩემმა ქალბატონმა (ᲚᲘᲣᲑᲘᲡᲘ ცოლმა) გამგზავნა დუბროვისას, გავიგონე ვითომ დუბროვის ქალს შვილი დაებადა, და მართალია თუ არა შემიტყეო. მე იქაური მდგმური აფიცრების დენშიკებს გამოვკითხე, და იმათ მითხრეს, დილის ხუთ საათამდი დუბროვისას ხმაურობა იყოო.

პრისტავის თანაშემწე ᲑᲐᲘᲜᲓᲣᲠᲝᲕᲘ: 27 იანვარს, დილას, პოლიციისგან დაყენებულმა სალდათმა მომახსენა, რომ მხეიძის სახლის წინ, თხრილში, ბოგირის ქვეშ, ბავშვი აგდიაო. მე მაშინვე ეს ამბავი მთავრობას შევატყობინე და მომრიგებელ მოსამართლესაც მივწერე, გამოძიების დასანიშნელათ. ჩემმა მთავრობამ მიბრძანა, შეიტყვე ჩუმათ, იქნება რამ გაიგო ვისია ეს ბავშვიო. იქ მყოფ ქალებიდგან, ორმა, სუსანა თვალაძის ქალმა და ტასია ბეგოვისამ მითხრეს, რომ დუმბროვის ქალს ვწამებთო, რადგანც გაგვიგონია, ის ორსულათ იყოო. ბავშვი წყალს შუა, ქვაზე იდვა შეხვეული, მაგრამ წყალი იმას ძლივს უწევდა, და გული და პირი-სახე გადახდილი ჰქონდა. ქისერთან არ მახსოვს რამდენი ნიშანი ჰქონდა, ჩალურჯებული. სუსანა თვალაძის ქალმა მითხრა, რომ ის კოჭტა, რომელშიაც ბავშვი გახვეული იყო, დუბროვის მოსამსახურის ტანზე მინახავსო.

ᲘᲜᲝᲖᲔᲛᲪᲔᲕᲘ ამბობს, რომ ერთხელ ვნახე დუბროვის ქალს პაველე ძავთარაძე ემუსაიფებოდა ძველ ყორესთანაო. მე მაშინვე ბანდარენკო შემხვდა, და იმას ეუთხარი, ეს ძალიან ეწყინება დუბროვს მეთქი.

ᲑᲐᲜᲓᲐᲠᲔᲜᲙᲝ: ᲘᲜᲝᲖᲔᲛᲪᲔᲕᲘ შემხვდა ერთხელ, და მითხრა, ესეს არის დუბროვის ქალი ვიღაცას ემუსაიფებოდა ჩუმათაო.

ᲐᲛᲘᲡ შემდეგ წაიკითხეს უფ. ბაინდუროვისგან შედგენილი აწერილება, თუ როგორ მდგომარეობაში იპოვა იმან ბავშის გვამი და უფ. ᲨᲝᲠᲝᲜᲝᲕᲘᲡ მედიკური მოწმობა, რომელშიაც დაწერილებით მოხსენებულია, თუ რა შეამჩნია ამ გვამს ექიმმა. ᲐᲛ მოწმობის დასკვნა ის არის, რომ ყმაწვილი დღე-ნაკლული არ ყოფილა, იმას ტანმრთელი აგებულება ჰქონია, და მომკვდარა სულის შეხუთვით. იმას დიდხანს არ უცოცხლია თავის დაბადების შემდეგ.

ᲐᲛ მოწმობის ასახსნელათ და გასაჩხრეკათ გამოჰკითხეს დოქტორს ᲡᲔᲕᲔᲠᲘᲜᲡ. ის ამბობს, რომ იმ ცნობებიდგან, რომელიც შეკრებილია ექიმის მოწმობაში, ნამდვილათ სჩანს, რომ ყმაწვილი ტანმრთელი და სრულ-ხნოვანი დაბადებულა, და მომკვდარა დაბადების შემდეგ, მაგრამ იმას ვერავინ იტყვის, რომ ის ძალათ დაერჩოთ. ᲐᲛᲘᲡ დამამტკიცებელი ნიშანი არსადა სჩანს; სქმის გარემოებიდან მარტო ის სჩანს, რომ ყმაწვილი მომკვდარა იმისგან, რომ საკმაო ჰაერი ვერ უშოვია. მაგრამ შესაძლებელია, რომ იმას ეს ჰაერი მოკლებოდეს იმ დროს როცა პირზე კოჭტა დაახურეს. ᲭᲘᲞᲘᲡ შეუსკვნელობას საზოგადოთ ბავშვის სიკვდილი მოსდევს იმითი, რომ ბავშვი სისხლით იწრიტება; მაგრამ ამ შემთხვევაში ბავშვი ჰაერის ნაკლულევანებით მომკვდარაო. პროკურორი და დამცველი ჰკითხავენ უფ სეევერინს, შეეძლო თუ არა ახალ ნალოგინევ ქალს, დაბადა თუ არა იმან ბავშვი, ადგომა და ოთხასიოდენა საჟენის გაელა ბავშვის გადასაგდებათო. ᲐᲛკითხვაზე სეევერინი პასუხათ ამბობს, რომ ამისი მაგალითები მომხდარა ხანდისხან, მაგრამ ეს ძლიერ იშვიათი საქმე არისო, და მეტის მეტათ ძნელი. უფრო შესაძლებელია, რომ ქალი ვერ გაძლებდა, გული წაუვიდოდა სისუსტითო, მაგრამ შეუძლებელი კი არ არისო. სწორეთ ამ ნაირათვე ამოწმა უფ. ᲨᲝᲠᲝᲜᲝᲕᲘᲛ, რომელიც აგრეთვე ამბობს, რომ ბავშვის სიკვდილი სულის შეგუდვით მომხდარაო. მაგრამ ძალით დაღრჩვეს თუ არა, ამისი გადაწყვეტით თქმა შეუძლებელი არისო.

შემდგომ წაიკითხეს უწინდელი ჩვენება სამი მოწმის ᲢᲣᲚᲘᲜᲝᲕᲘᲡ (სისხლიან სარეცხზე), ᲠᲘᲙᲣᲚᲘᲜᲘᲡ (არაფერი ვიცი ამ საქმისაო) და ᲔᲚᲓᲔᲠᲔᲕᲘᲡ (თითქმის ამნაირივე). ბოლოს წააკითხვინეს სეკრეტარს სინოდის კანტორის აზრი ახალგაზდა დამნაშავეების ნათესაობაზე. კანტორა სწერს პროკურორს, რომ რადგანც მაგათი მეტრიკული მოწმობები არ წარმოგიდგენიათ, ნამდვილათ თქმა არ შეიძლება, რა ნათესავები არიან ისინი ერთმანეთისაო. მაგრამ, თუ მართალია დუბროვის ცოლს თავის კანონიერი პირველი ქმრის ხელში ჰყოლია პაველე ძავთარაძე, და თუ ᲐᲜᲜᲐ დუბროვისა კანონიერი ქალია პაველე ძავთარაძის ნამდვილი მამინაცვალი საო, ისინი მეორე მუხლზე არიან ერთმანეთთ, ისე რომ მათი ცოლქრმობა აღკრძალული და შეუძლებელია, „ხელმძღვანელი წიგნის“ (Кормчая книга) მეათე მუხლითაო.

ᲐᲛ აზრის წაკითხვის შემდეგ სამსჯაროს სხდომა ერთი საათის ვადით შეწყდა, და ხალხი სადილის საჭმელათ დაიფანტა.

ᲔᲠᲗᲘ საათის შემდეგ სხდომა ხელახლავ გაიმართა. თავმჯდომარემ მიანება სიტყვა პროკურორს, უფ. ᲓᲔᲛᲔᲜᲢᲘᲔᲕᲡ, რომელმაც დაიწყო ლაპარაკი ამ საქმეში თავისი მძიმე მდგომარეობის გამოსახვით.

„შინაურული დანაშაულობის გამოკვლევა, თქვა უფ. ᲓᲔᲛᲔᲜᲢᲘᲔᲕᲛᲐ, ყოველთვის გაძნელებულია იმით, რომ არავის არა ეკითხება რა ამისთანა გარემოებებში. მახლობელ ნათესავებს კანონი ნებას აძლევს ჩვენება არ მისცენ, როცა საქმე მათ ნათესავს შეეხება. და რადგანაც დღეს, სამჯაროს წინ, დუბროვის შვილებმა ეს უფლება გამოიყენეს, და ხმის ამოღების უარი თქვეს, ჩვენ დღევანდელ სამჯაროს გამოძიებას თავი უნდა დავანებოთ და რადგანც ის საკმაო გარემოებებს არ აღმოაჩენს, ისევ თავდაპირველ გამოძიებას უნდა მივმართოთ, იმ გამოძიებას, რომელშიაც იპოვა დუბროვის შვილების ჩვენებაები. მართლაც ჩვენ ვხედავთ, რომ დღევანდელ გამოძიებაზე, როცა დუბროვის შვილებმა, რომელნიც მოწმებათ იყვნენ დაბარებული, ჩვენების მოცემის უარი თქვეს, უფრსმა ქალმა, დამნაშავემ, ისეთი ჩვენება მისცა სამსჯაროს, რომლის უსაფუძვლობა აშკარა და ცხადი საქმეა. თქვენ მოისმინეთ უფ. დუბროვის ჩვენება, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ წუხელ საღამოს ძავთარაძემ ᲐᲜᲜᲐ დუბროვისა წაიყვანა დედი მისის დამცველ ადვოკატთანო. ეხლა თქვენ ხედავთ, რომ საქმის მოსაგებლათ დამნაშავეებს ისეთი ჩვენება მოუმზადებიათ, რომ დუბროვის ცოლი დაიხსნან და საქმე როგორმე გაამრუდონ. ᲐᲛისგამო ჩემი მოვალეობაა დღეს, ბრალმდებელის მაგიერ დამცველათ შევიქნე, და დაგიმტკიცოთ, რომ დუბროვის ქალი არაა ბრალეული იმ დანაშაულობაში, რომელსაც ის დღეს თავის თავზე იღებს. რასაკვირველია, ცხადია, რომ ის დანაშაულია ნათესავთან მრუშობაში. ᲐᲛაზე ლაპარაკი უსარგებლოა, ამიტომ რომ ეს საქმე სრულიად დამტკიცებულია როგორც დამნაშავეების საკუთარი ჩვენებით, ეგრეთვე საქმის გარემოებებით. მაგრამ დანარჩენი დანაშაულობა კი დუბროვის ქალს სრულიად უსაფუძვლოთ მოუხვევია თავის თავზე. ᲐᲛას არ შეეძლო მოეხდინა ეს დანაშაულობა, არ შეეძლო მოეკლა თავის ახალ დაბადებული შვილი, ამიტომ რომ, როგორც ექიმებმა დაუმოწმეს, ეს საქმე მეტის მეტათ ძნელი, თითქმის შეუძლებელი იყო მისთვის. მართალია, ექიმებმა თქვეს რომ ამისთანა მაგალითები მომხდარაო; მაგრამ იმათ ზედვე დაამატეს, რომ ამისთანა მაგალითები მომხდარა უბრალო ხალხს შუა, სადაც უფრო ტანმრთელი და ჯაფის ამტანი ქალები იპოვება. ჩვენ მაღალ და საშუალ საზოგადოებაში კი, სადაც ქალი სუსტი და განაზებულია, ეს საქმე შეუძლებელია მისთვის. წარმოიდგინეთ, რა ძალა უნდა ჰქონოდა ამ სუსტ, ავათმყოფს ქალს, რა ნაირათ უნდა ეშვა მაგას შვილი მარტოხელა, და როგორ უნდა გაეველო ზამთრის ღამეში ოთხასაჟენამდე, თავისი ბავშვით, სად ექნებოდა მაგას მაგოდენა ძალა? დუბროვის ქალების ჩვენებიდან სჩანს, რომ ეს ჩემი სიტყვა უსაფუძვლო არ არის, რომ დუბროვის ქალს მართლა არ შესძლებია ახალ ნალოგინევზე ადგომა და ბავშვის წაყვანა გადასაგდებლათ. მართლაც, მათი სიტყვებით, ბავშვი წაუყვანია დუბროვის ცოლს და ძავთარაძეს; დუბროვის ქალი კი ლოგინში დარჩენილა, მთელი ორი დღის განმავლობაში.—ᲐᲛას გარდა, საბრალო ბავშვის წინათვე გამზადებული ყოფილა მისი ბებიის განზრახვაში. ძავთარაძე და დუბროვის ქალი, რაკი იმათ ორსულობა შეიტყვეს, თავიანთი ბავშვის გაბარებას აპირებდენ სოფლათ. ძავთარაძე ძიძას ეძებდა, რომლისთვისაც იმას შესძლებოდა ბავშვის მიბარება აღსაზრდელათ; ეს სჩანს თვითონ მის ჩვენებიდგან, აგრეთვე როგორც ზოგიერთ სხვა გარემოებებთაგან. დედინაცვალი კი სრულიად არაფერს თავდარიკში არ იყო: იმას არც ტანსაცმელი დაუმზადებია ახალ დაბადებულისთვის, არც ბებია მოუყვანია, არც ერთი და არც მეორე. თვითონ ქალი, რასაკვირველია, ამაების შემზადებას ვერ შეუდგებოდა, რადგანც ის ხელქვეითი იყო და სახლში არაფერი გაელენა და ძალა არ ჰქონდა, რომ ექიმების მოწმობიდგან და ჩვენებიდგან სჩანს, ყმაწვილი ტანმთელი და სრულ-ხნოვანი დაბადებულა, და სიკვდილი სულის შეგუბებას მოუხდენია. უეჭველია, რომ ეს სულის შეგუბება კოჭტის საშუალებით მომხდარა. დამნაშავეებს წინათვე განზრახული ჰქონიათ ეს სიკვდილი; ეს იქიდან სჩანს, რომ დუბროვის ცოლმა, ქალის ლოგინათ დაწოლის დროს ბევრი სიფრთხილე მოიხმარა, დანარჩენი ბავშვებისგან საქმის დასამალავათ, და პაველე ძავთარაძემ კიდევაც უთხრა ყმაწვილებს, როცა იმათ ბავშვის კივილი და დის კვნესა გაიგონეს, ეს კატის ჩხავილი არისო. ᲐᲛას გარდა, ამათ ბავშვის სიკვდილი რომ არ სდომებოდათ, პირდაპირ შეეძლოთ ვისმე კარების ან სახლის წინ მიეგდოთ ბავშვი, ისეთ ალაგს, სადაც იმას არ მოსწყოდა რა, და სადაც მისი პოვნა ადვილათ შესაძლებელი ყოფილიყო. მაგრამ რადგანც დამნაშავეებმა ბავშვი თხრილში დაადგეს, ხიდ ქვეშ, ისეთ ალაგას, სადაც არც მისი შველა იყო შესაძლებელი არც მისი მოძებნა სჩანს, რომ იმათ განზრახული ჰქონიათ მისი სიკვდილი. ᲐᲛ გარემოებების და მოაზრების ძალით, პროკურორი თხოვს სამჯაროს, რომ იმან დუბროვის ქალი იცნოს უბრალეულოთ ბავშვის სიკვდილში, და დასაჯოს მხოლოდ როგორც ნათესავთან მემრუშე, დუბროვის ცოლი იცნოს დამნაშავეთ ბავშვის მოკვლაში და დასაჯოს ის კანონისამებრ, და პაველე ძავთარაძის საქმე კი ხელახლავ პროკურორს დაუბრუნდეს, ახალი ბრალმდებითი წერილის შესადგენათ, რადგანც ახლათ ამოჩენილი გარემოებაების ძალით იმასაც უნდა დაბრალდეს ბავშვის მოკვლა და თან ნათესავთან მრუშობა.“

ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲔᲑᲘᲡ დამცველი, უფ. ᲜᲔᲡᲢᲔᲠᲝᲕᲘ: იმისთანა საქმე, როგორც ეხლანდელი, ყოველთვის იქცევს თავის თავზე საზოგადო ყურადღებას, ყოველგან იმაზე ტყდება ამბის მიტან-მოტანა, საუბარი, დამატება და სხვ. ᲧᲕᲔᲚᲐ მის გაგებას და ახსნას ცდილობს და როგორც თვითონ ამ საქმისგან სჩანს, ზოგიერთი ქალბატონები ბიჭებსაც კი ჰგზავნიან ერთმანეთში ამ გვარი ამბების შესატყობლათ, რადგანც ამ საქმეში გაბმულა ჩემი კლიენტების პატიოსნება, მე საჭიროთ დაეინახე მეთხოვა სამჯაროსთვის ამ საქმის ხალხის წინ განხილვა და მე გულითად მადლობას ვსწირავ სამსჯაროს იმისთვის, რომ იმან გაიგო ჩემი აზრი და ჩემი თხოვნა დაკმაყოფილა. მართლაც, ეს საქმე ღირსია რომ მიიქციოს საზოგადო ყურადღება თავის საზოგადო მნიშვნელობით. თქვენს წინ, უფალნო მსაჯულნო, სდგანან სამი დანაშაული. ᲔᲠᲗᲘ იმათგანი, დუბროვის ცოლი (ᲐᲜᲜᲐ ᲘᲐᲒᲝᲠᲝᲕᲜᲐ) პატიოსანი ოჯახის შვილია, რომელსაც მისმა პირველმა მეუღლემ, უფ. ძავთარაძემ საკმაო ქონება დაუტოვა. ᲐᲛ ქონების პატრონს შეხვდა თფილისში ერთი პოლიციის ჩინოვნიკი, უფ. დუბროვი, რომელმაც სხვა და სხვა ნაირი ოსტატობით მოიგო მისი გული. დუბროვმა უამბო იმას, რომ პატიეცემული მდგომარეობა და კარგი შეძლება აქვს ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲡ, ჩინებული ქვითკირის სახლი ერთი აგარა (ხუტორი), და მხოლოდ ერთი გასათხოვარი ქალი უზის შინ. საბრალო ქალმა დაიჯერა ეს სიტყვები, არავის არ გამოკითხა დუბროვის ნამდვილი ამბავი, და თვალახვეული წაყვა იმას ცოლათ. მალე აღმოჩნდა დუბროვის სიტყვების საფუძვლიანობა. წარმოიდგინეთ თქვენ საბრალო ქალის მდგომარეობა, როცა ქვითქირის სახლის მაგიერ იმას დახვდა უბრალო, უხეირო ჩინოვნიკური სახლი, აგარას მაგიერ ცარიელი უქოხო მიწა, სახელმწიფოსგან აღებული ხვა და სხვა პირობებით, და ერთი გასათხოვარი ქალის მაგიერ—მთელი ცხრა ვაჟი და ქალი, ერთი მეორეზე უფროსი, რომელთაგან უმცირესი ორი წლი-

საც არ იყო. რა ქნა მაშინ ამ საბრალო ქალმა? საყვედურის ან მიტოვების მაგიერ, ის ხმა ამოუღებელათ, უსინანულოთ მოეკიდა თავის ახალ ოჯახს, გაუხდა ნამდვილ დედათ ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ წვრილ შვილს და შეეჩვია თავის ახალ ღარიბულ მდგომარეობას. რანაირათ მოუარა იმან თავის ახალს ოჯახსა, როგორ მოიპოვა იმან თავისი ახალი წვრილშვილის გული, ეს თქვენ თითონ დაინახეთ აქ, უფალნო მსაჯულნო. თქვენ წინ ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ქალებმა და შვილმა უარი თქვეს ჩვენების მოცემისა, თუმცა მამა ძალას ატანდა იმათ, რომ ეთქმევინებია რამე თავისი ცოლის წინააღმდეგ. ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ცოლს პირველი ქმრისაგან მოყვა ცოტაოდენი ფული. ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲛᲐ დატყუა იმას ეს ფული, ას თუმანზე მეტი, და ჯერ თამასუქი მისცა, მაგრამ რაკი დახარჯა ფული, თამასუქი ძალდატანებით, მუქარით და აყალმაყალით უკანვე გამოგლიჯა და დახია. მასაქეთია იმან თავი აიშვა თავის ცოლის წინააღმდეგ. თქვენ კარგათ იცით, რა ნაირია ქალის მდგომარეობა ოჯახში. ქალის მდგომარეობაზე იმოდენა უწერიათ, ულაპარაკნიათ და უქადაგნიათ, რომ ეს საქმე ყველასთვის თითქმის მობეზრებულია. წარმოიდგინეთ მაშ ᲐᲜᲜᲐ ᲘᲐᲒᲝᲠᲝᲕᲜᲐᲡ მდგომარეობა ამისთანა ოჯახში, ამისთანა ქმრის ხელში, რომელმაც იმდენათაც ვერ მოიკავა თავი, რომ პროკურორსაც კი და სამჯავროსაც თავისი ნების ასრულობა მოსთხოვა, და რჩევის და თითქმის ბრძანების ძალევა დაუწყო. რასაკვირველია, რომ ქმარს ეხლა სურს თავიდან მოიცილოს თავის ცოლი. იმან იცის, რომ თუ ამ საქმის მის თავზე მოხვევა მოახერხა, იმას ადვილათ შეეძლება გათავისუფლება, რადგანც კანონი იმას ახალ ცოლის შერთვის ნებას მისცემს. ამ მიზნის მისაღწევათ ის აღარაფერს ღონის-ძიებას არ ზოგავს. ის ძალას ატანს თავის შვილებს მისცენ მისი ცოლის წინააღმდეგი ჩვენება, თვითონ გამოდის სამჯავროს წინ მის დასალუპველათ, და სხვა და სხვა ღონისძიებას ხმარობს, ცოლის დასატუქსავათ და შესაციწროებელათ. იმან წაართვა თავის ცოლს ახალგაზდა შვილი, რომელიც შეადგენდა ᲐᲜᲜᲐ ᲘᲐᲒᲝᲠᲝᲕᲜᲐᲡ უკანასკნელ იმედს; იმან მოუსპო ცოლს ყოველი ღონისძიება, წაართვა მასპერანგი და ტანსაცმელი, და ეხლა ეს ქალი არესტანტის ტანისამოსით უნდა დაიარებოდეს!. მაგრამ რა საფუძველი უძევს ᲐᲜᲜᲐ ᲘᲐᲒᲝᲠᲝᲕᲜᲐᲡ გამტყუნებას და ბრალის დადებას? არც ერთი. არის, მართალია, ერთი ვითომ საფუძველი—ᲢᲣᲚᲘᲜᲝᲕᲘᲡ ჩვენება, რომელიც ამბობს, რომ შეესწარი ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ცოლს, როცა ის დასისხლიანებულ ტანისამოსს რეცხავდაო, და მაშინ იმან გობს ახალი სარეცხი წააყარაო. მაგრამ ეს ჩვენება ყურადღებაში მისაღები არ არის. რა წარმოსადგენია, რომ ამისთანა ნაზათ აღზრდილი ქალი თვითონ დაიწყებდა სარეცხის რეცხას? ᲐᲜ თუ ეს შესაძლებელია, უეჭველია, რომ იმან იმიტომ კი არ დამალა გობი, რომ სარეცხი დანაშაულობის ნიშანი იყო, არა, მხოლოდ იმისთვის, რომ ის როგორც ქალი მოერიდა კაცის თვალს. მაშასადამე, რაკი ᲐᲜᲜᲐ ᲘᲐᲒᲝᲠᲝᲕᲜᲐᲡ წინააღმდეგ მეტი არაფერი საფუძველი არ იპოვება, თქვენ გაამართლებთ იმას, და გაანთავისუფლებთ ეხლანდელ მის საშინელ მდგომარეობიდგან.—ᲐᲜᲜᲐ ᲞᲐᲔᲚᲝᲕᲜᲐᲖᲔ (ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ქალზე) მე ის მეთქმის, რომ მისი ბრალდებულება მცირდება მისი გულწრფელი და სრული გამოტეხით. თუმც ჩემთვის სამძიმო საქმეა მისი გულის შეხება და გამოფენა საზოგადოების წინ, მაგრამ იძულებული ვარ, საუბედუროთ, ვქნა ეს და შევეხო მისი გულის ჩჩვილ ძაფებს. ᲐᲜᲜᲐ ᲞᲐᲔᲚᲝᲕᲜᲐ მიეცა ᲭᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔᲡ სიყვარულით და ბუნების მოუშორებელი მოთხოვნილების ძალით. ეს დანაშაულობა გამოიყიდა იმან თავის ტანჯვით და უბედურებით. ჩაიხედეთ მის შინაგანი ბუნების ფსიხიურ წყობილებაში და თქვენ დაინახავთ, რამდენი გასაჭირი და განსაცდელი უნდა გამოეარა იმას, სანამ ცხრა თვის განმავლობაში, თავის გულს ქვეშ თავის ბავშვს ატარებდა! იმას უნდა დაეშალა ყველგან თავისი მდგომარეობა, უნდა მოეთმინა ათასნაირი ტანჯვა. ᲐᲛ დროს ის იტყობს, რომ მამა მისი დღეს თუ ხვალ უნდა დაბნრუდეს შინ რუსეთიდგან და შეშინებული, იმედ-მოკლებული, მალულათ შობს ის თავის შვილს; მისი პირველი კივილი ელეკტრიულ ნაპერწკალსავით უჯდება იმას სხეულში. ᲐᲛᲡᲝᲑᲐᲨᲘ ბავშვი კვდება. ᲒᲐᲭᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ, შეშინებული ᲐᲜᲜᲐ ᲞᲐᲔᲚᲝᲕᲜᲐ დგება, ათას ნაირი ტანჯვით და გაჭირებით წაიღო—ცოცხალი ყმაწვილი კიარა, ყმაწვილის გვამი. მის დანაშაულობას ეყოფა ეს ტანჯვა, და მე იმედი მაქვს, რომ თქვენ ამასაც გაამართლებთ, და ამით დაამტკიცებთ, რომ ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ოლქის სამსჯავროში „სუფევს სამართალი და მოწყალება.“—მესამე დანაშაულის სასარგებლოთ ბევრის თქმა საჭიროც არ არის. შეხედეთ ამ ახალგაზდას, ის სრულიად ბავშვი იყო, როცა შეცდა სიყვარულით,—ის მაშინ თოთხმეტი წლისაც არ იყო. მაშინ იმას არც „ულოჟენიების“ არსებობა სცოდნია, არც „კორმჩის წიგნის“ მეათე მუხლისა, და მისი დანაშაულობა, როგორც მცირე წლოვანის, მეტის მეტათ მცირე და დაუსჯელია. მაშასადამე მე ვთხოვ, რომ სამჯავრომ ესეც გაათავისუფლოს პასუხის გებისაგან.

ᲐᲛᲘᲡ შემდეგ სიტყვა ხელახლავ მიეცა პროკურორს, რომელმაც ორიოდე შენიშვნა წარუდგინა სამჯავროს, დამცველის სიტყვის წინააღმდეგ. პროკურორმა თქვა, რა ხეირი დააყარა ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ოჯახს მისმა ცოლმა, რისთვის იკისრა თვითონ პროკურორმა დამცველის მაგიერება ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ქალის შესახებ, და რა უსაფუძვლო და აზრში მოუსველელია ის მოაზრება უფ. ნესტეროვის, ვითომ ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ქალმა მკვდარი ბავშვის გვამი გამოიტანა ქუჩაზე. ᲐᲛᲐᲡ გარდა პროკურორმა თავის უწინდელი მოაზრებაები გაიმეორა. პროკურორის პასუხის გება უფ. ნესტეროვს რომ მიეცა, იმან ხელ-მეორეთ გამოთქვა წინათვე გამოთქმული აზრები. და ხელ-ახლავ გაათავა სიტყვა ყველასი გამართლების თხოვნით.

შემდეგ ამისა, კანონის მოთხოვნილებისამებრ სამსჯავროს თავმჯდომარე მიუბრუნდა ბრალდებულებს და უთხრა, რა გსურთ დ უმატოთ თქვენი დამცველის სიტყვებსო და რა გაქვთ კიდევ სათქმელი თქვენდა სასარგებლოთო? ᲐᲛ კითხვაზე სამთავე დამნაშავემ უპასუხეს თავჯდომარეს, რომ მეტი სათქმელი არა გვაქვს რაო. მაშინ სამსჯავრო ცალკე ოთახში გავიდა გასამართლებელი კითხვების დასადებათ.

ᲒᲕᲐᲠᲘᲐᲜᲐᲗ დალმებული იყო, როცა სამჯავრომ ეს საქმე დააბოლოვა და გადაწყვეტილება გამოიტანა. ᲐᲛ გადაწყვეტილების ძალით ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ცოლი, ᲐᲜᲜᲐ, ნაცნობია დამნაშავეთ ბავშვის ისეთ ადგილს დაგდებაში, სადაც იმას ვერავინ მიეშველებოდა, მისი შვილი პაველე ᲭᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ და ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ქალი ᲐᲜᲜᲐ ნაცნობი არიან ნათესაობის დავიწყებაში და მრუშობაში, და კანონისამებრ ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ცოლი ისჯება ყოველივე სიმართლის ჩამორთმევით და ᲪᲘᲛᲑᲘᲠᲨᲘ გაგზავნით დასასახლებლათ; ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲘᲡ ქალი ექვსი, თვის ვ დით იგზავნება უდაბნოში მოსანანებლათ. და რადგანც საქმისგან აღმოჩნდა, რომ პაველე ᲭᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ ბავშვის დაგდებაშიაც ერია, მისი საქმე, სამ ჯავროს გადაწყვეტილებით, პროკურორს უბრუნდება, ახალი ბრალდებულებითი წერილის შესადგენათ.—

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

„მნათობი“ ამ უკანასკნელ დროს შესანიშნავ სიცხოველეს იჩენს: ერთი თვე არ იქნება, რაც მეორე წიგნი გამოვიდა და ახლა მესამეც ზედ მოაყოლეს. რასაკვირველია, მარტის წიგნის ივნისში გამოცემა მაგდენათ საქები არა არის რა, მაგრამ ამ თვითონ, „მნათობის“ განახლების შემდეგ, ესეც კარგი ნიშანია. რაც შეეხება სტატიებს, იმათ სიცხოველეზე კიაქვერას ვიტყვით. „ᲤᲣᲢᲙᲐᲠᲛᲐ“ კი ჩაგვიბზუილა ყურში, რომ, ღვთისა და „ᲥᲠᲐᲖᲐᲜᲘᲡ“ შეწევნით, მალე მექნება შეძლება, რომ ერთი თეფში თაფლი კიდევ მოგართვათო. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗᲘ ჩვენი ყურადღება „ᲤᲣᲢᲙᲐᲠᲛᲐ“ იმ სტატიას მიაქცია, რომელსაც სახელათ „ᲝᲠᲘᲝᲠᲓᲔ სიტყვა „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ეხლანდელ რედაქციაზედ“ ეწოდების. ეს სტატია ეკუთვნის უფ. წ-ს. ᲐᲛᲐᲡ გარდა, „ᲤᲣᲢᲙᲠᲘᲡ“ აზრით, ყურადღების ღირსია აგრეთვე ისევ და ისევ ბ. წულუტუბელის ლექსი: „ᲛᲔᲑᲐᲢᲝᲜᲘᲡ აღსარება“ და აგრეთვე ზოგი სხვა სტატიებიც. მოუცადოთ, აბა, რას იტყვის „ᲤᲣᲢᲙᲐᲠᲘ“ და როგორ შემზადებულ თეფშს მოგვართმევს ის...

ᲐᲛᲐᲡ წინეთ გამოვიდა ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, რუსულ ენაზე, ერთი პატარა ბროშურა, სახელათ „Нѣчто о Тифлисскомъ и Кутаисскомъ банкахъ“—М. Г. М. („ᲝᲠᲘᲝᲠᲓᲔ სიტყვა ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ და ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ბანკზე“). ᲗᲐᲕᲓᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲗ ავტორი ამბობს, გასაკვირველიაო, რომ ამისთანა შესანიშნავი და სასარგებლო საქმე ჩვენ ამდენი ხანი კიდევ ვერ მოგვიყვანია სისრულეშიო. ᲐᲛᲘᲡ უმთავრესი მიზეზი ის არისო, რომ ჩვენ აქამომდი ბანკის რიგიანი პროექტი ვერ შეგვიდგენიაო: ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ აზნაურობას ოთხჯერ დაუბრუნეს უკან ბანკის პროექტიო და ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡᲐᲡ—სამჯერო. შემდეგ ავტორი გადადის იმის განხილვაში—თუ საზოგადოთ ფულებს და განსაკუთრებით ბანკებს რა მნიშვნელობა აქვთ რომლისამე ქვეყნის კეთილდღეობაში და წარმატებაში. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ და ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ბანკის შესახებ ის ამბობს, რომ ეს ბანკები მხოლოთ მაშინ დაფუძნდებიან მკვიდრათ და ჩვენი ქვეყნისთვის იმათ მხოლოთ მაშინ ექნებათ მნიშვნელობა, როდესაც ისინი საერო, და არა მარტო სათავად-აზნაურო, ბანკებათ შეიქნებიანო. ᲐᲛᲘᲡ და გვარათ პროექტებიც შემდგარი უნდა იყვნენო. ეს ძლიერ მოსაწონი აზრია, და ვისაც ავტორის საფუძვლების გაცნობა ჰსურს, იმას შეუძლია მიმართოს იმ პატარა წიგნს, რომლის სახელი ჩვენ ზევით ამოვიწერეთ და რომელიც შვიდ შაურათ ისყიდება აქაურ წიგნის მაღაზიებში.

ᲜᲐᲠᲔᲕᲘ

***

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ გუბერნიის ერთს სოფელში მაისის ათს საშინელი მკვლელობა მოხდა: ახლათ დაქორწინებულმა 16 წლის ახალგაზდა გლეხის ქალმა მოკლა თავის 18 წლის ქმარი. ᲐᲘ, როგორ იყო ეს საქმე: მაისის ორს ეს ქალი მიათხოვეს ერთ ახალგაზდა გლეხს, რომელსაც ის სრულიად არ იცნობდა და რომელიც ამის გამო ამ ქალს, რასაკვირველია, სრულიად არ ეყვარებოდა. ᲔᲢᲧᲝᲑᲝᲓᲐ, რომ ძალა-უნებურათ მიჰყვებოდა ქმარს; მაგრამ პირველივე ღამის შემდეგ, ყველამ შეატყო, რომ ქალს საშინელი ქმრის სიძულვილი ჩაუვარდა გულში. ᲯᲔᲠ ქალს თავის მოკვლა უნდოდა თურმე, მაგრამ მერე პლანი შესცვალა: 10 მაისს ისა და მისი ქმარი ერთი სოფლიდგან შინ მოდიოდნენ; გზაზე ბუჩქები იყო და ცოლმა თქვა თურმე, რომ მოდი, ერთი აქ დავისვენოთო. ᲓᲐᲬᲕᲔᲜ . . . ᲪᲝᲢᲐ ხანს შემდეგ ქმარს დაეძინა; ცოლი წუნარათ წამოდგა ზეზე, ამოიღო ჯიბიდამ დიდი დანა, მარცხენა ხელი დააჭირა ქმარს პირზე და მარჯვენათი რაც ღონე ჰქონდა ჩაჰკრა უელში და თითქმის სრულიად კისერი გადასჭრა.

ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘᲡ გამოკვლევით, ამ მკვლელობის მიზეზი ის იყო, რომ ახალგაზდა ცოლქმრები ᲣᲓᲠᲝᲝᲤᲘ ᲨᲔᲣᲠᲗᲔᲑᲣᲚᲐᲜ: კაცი არ იყო თურმე ახალგაზდა, მოხუცი, ქალი კი ჯანმთელი და ასაკოვანი იყო. ᲐᲘ, ეს გრძნობის აღელვება და ნდომის დაუკმაყოფილებლობა იყო, ექიმების სიტყვით, იმის მიზეზი, რომ ქალი უნორმალო მდგომარეობაში მოვიდა და ქმარი მოჰკლა . . .

***

ᲣᲣᲑᲐᲜᲨᲘ გამოჩენილა ერთი აბრეგი, რომელზედაც გასაოცარ ამბებს ლაპარაკობენ და რომელმანც საშინლათ დააფთხო თურმე ხალხი. ᲔᲡ აბრეგი—ᲑᲠᲝᲜᲘᲪᲙᲘ—ბევრი ავაზაკობისთვის ᲪᲘᲛᲑᲘᲠᲨᲘ იყო გაგზავნილი, მაგრამ როგორღაც დაეღწია იქიდამ თავი და ისევ ᲣᲣᲑᲐᲜᲨᲘ დაბრუნდა. მოვიყვანთ ამ აბრეგის ცხოვრებიდამ ერთ შესანიშნავ შემთხვევას; ᲣᲣᲑᲐᲜᲘᲡ ერთს სოფელში მშვიდობიანათ სცხოვრებს ერთი გადამდგარი მაიორი. ᲔᲠᲗ დილას იმას მოუვიდა ᲑᲠᲝᲜᲘᲪᲙᲘᲡაგან წიგნი, რომ ამა და ამ საათზე ღღეს გიახლები და ამდენი ფული მზათ გქონდესო. წარმოიდგინეთ საწყალი მაიორის მდგომარეობა! რა უნდა ექნა? ᲥᲐᲚᲐᲥᲘ შორს იყო, ვის შეატყობინებდა? როგორც იყო, დაუძახა თავის მეზობლებს, ზოგს თოფი, ზოგს ცული, ზოგს კეტი მისცა ხელში და ამ ნაირათ მთელი სოფელი მოელოდა ᲑᲠᲝᲜᲘᲪᲙᲘᲡ მობრძანებას, მაგრამ ყველას კი მაინც ძალიან ეშინოდა. ᲐᲛ დროს შორს მინდორში იმათ დაინახეს ათი თუთხმეტიოდ კარგათ დაიარაღებული სალდათები, რომელნიც პირდაპირ მაიორის სახლისკენ მოდიოდნენ. მაიორმა იფიქრა—გავკეთდი კაცი, ესენი მიშველიანო. ᲘᲛ წამსვე მიეგება იმათ და დიდის პატივის ცემით მიიპატიჟა შინ. ᲐᲤᲘᲪᲔᲠᲛᲐ იმედი მისცა, რასაკვირველია, მაიორს, რომ ᲑᲠᲝᲜᲘᲪᲙᲘᲡ დავიჭერ და ცოცხალს წარუდგენ მმართებლობასაო. ᲓᲐᲯᲓᲔᲜ ეახშმათ ღა კარგა ლაზათიანათ დალიეს. ნავახშმევს ამ აფიცრისაგან დაიმედებულმა მაიორმა სოფლელები გაისტუმრა და დიდის სიამაყით იძახოდა:

— ᲐᲑᲐ, თუ ბიჭია, ახლა მობრძანდეს ᲑᲠᲝᲜᲘᲪᲙᲘ, ვაყურებიებ მის სეირსო!

— ᲡᲬᲝᲠᲔᲗ მართალს ბრძანებო, უთხრა აფიცერმა, თქვენ ყველაფერი თადარიგი მოახდინეთ; მხოლოთ თქვენი ფულიანი ყუთი უნდა გადმომცეთ, მეტი არა გაკლიათ რა. მე—ᲑᲠᲝᲜᲘᲪᲙᲘ ვარ, და, როგორც ხედავთ, ძალიან ბეჯითი ვარ ჩემი სიტყვისა . . . ᲣᲣᲗᲘ, უფმაიორო!

ᲐᲠᲪ გაკვირვებისა და არ ლაპარაკის დრო ალარ იყო... მაიორმა ამოიღო ზანდუკიდამ ფულიანი ყუთი და მისცა ᲑᲠᲝᲜᲘᲪᲙᲘᲡ. ნახევარი საათის შემდეგ ᲑᲠᲝᲜᲘᲪᲙᲘ და იმის ამხანაგები შეჯდენ მაიორის ცხენებზე და ნელნელა წავიდენ ტყისკენ.

***

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ბევრს ლაპარაკობენ ახლა ერთს შემთხვევაზე, რომელიც იქაურ თეატრში მოხდა, ერთი კამედიის წარმოდგენის დროს. ᲐᲛ კომედიაში, („Бѣлоручки“—ნაზ-თითებიანები“) ერთ ალაგას, სომხების დაცინვაა თურმე, რომელთაც „არმიაშკას“ და სხვა ცუდ სახელებს ეძახიან. ᲐᲛ სომხების შეგინებამ გააჯავრა უფ. ᲐᲜ—ი მოსკოველი მდიდარი ვაჭრის შვილი, რომელიც იმ დროს იქ იყო; წარმოდგენაზე იყო აგრეთვე კამედიის დამწერი, უფ. შილოვსკი. პიესა რომ გათავდა და შილოვსკი გამოვიდა თავის ლოჟიდამ, ᲐᲜ—ი დახვდა იმას კარიდორში და კარგა ლაზათიანათ შეუკურთხა თურმე, სომხებზე ამისთანა სიტყვების დაწერისათვის. შილოვსკი მივარდა ᲐᲜ—თან და ცემას უპირებდა; მაგრამ უეცრათ ᲐᲜ—მა ამოიღო თურმე ჯიბიდამ რევოლვერი და დაუყვირა: „ერთი ნაბიჯი თუ გადმოგიდგამს კიდევ ჩემკენ, ახლავ ჩახმახს ჩამოუშვებო.“ ᲐᲛ დროს მიცვინდენ იქ დამსწრენი და მოჩხუბრები ძლივს გააშველეს. უეჭველია, ამ საქმის თაობაზე გამოძიება იქნება.

***

ᲐᲛ უკანასკნელ დროს ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ქალების განათლებაზე მიუქცევიათ განსაკუთრებითი ყურადღება. ᲐᲛ საქმეში თვითონ ქალები იღებენ თურმე უმთავრეს მონაწილეობას: მილანში ერთ იტალიელ ქალს საქალებო კურსები გაუმართავს, სადაც თვითონ ქალები ჰკითხულობენ თურმე ლექციებს ისეთი საგნებიდან, რომელნიც ცხოვრებაში და გონების გასახსნელათ გამოადგება იმათ. სხვათა შორის ერთ ახალგაზდა ძალიან განათლებულ ქალს შემდეგ საგნებზე წაუკითხავს ლექციები: „ქალების მდგომარეობა ძველებურ დროში“, „ცოლქმრობაზე“, „ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ქალებზე“, „გაუნათლებლობაზე“ და სხ. ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, რომ ამისთანა საქალებო კურსების გამართვას ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ სხვა ქალაქებშიაც აპირებენო.

***

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Іюня, 1871 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ.